

№ 6  
(6567)

1980 წ.  
იანვარი,  
ოთხშაბათი  
ფასი 3 კპ.

საპარტვილო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გაეშალა  
1984 წლის  
15 აპრილიდან



სსრ კავშირის  
47-ე ჩემპიონატი  
ლაპატაბით  
ღროში

რიგა. „დაუგავს“ სპორტული დარბაზი. 7 იანვარი.  
„დინამო“ (თბილისი) — ასე (კიევი) 99:98 (51:38, 90:90).

„დინამო“: გრძელიძე (გუნდს მოუტანა 12 ქულა), ზახტურიძე (5), ბიჭიაშვილი (6), ჩხილაძე (7), ნ. ქორჭია (10), დერიუგინი (22), მ. ქორჭია (18), მილოვიდოვი (6), პულავეცი (13).

ასე: ლისკო (10), კრავჩენკო, ზაზინკო (2), ზდრაკი (5), კომ- ზევი, ბერეჟნოი (22), სალინიკოვი (32), კოვტუნო, არზამასკოვი (6), მელეჟინი (20), ხომენკო (1).

მსახვები: მ. დავიდოვი (მოსკოვი), მ. ბერნაცი (ლიეპაია).

დაძაბული შეხვედრის მე-4 წუთზე თბილისელები დაწინაურდნენ — 11:9, მე-9 წუთისთვის დინამოე- ლთა უპირატესობა საგრძობად — 28:17. ამ ხუთ წუთში თავი ისახელა მ. ქორჭიამ, რომელმაც თავის კოლექტივს 12 ქულა შეს- ძინა. პირველ ტაიმში ბრწყინ- ნივალად ითამაშეს ქართველმა კა- ლათბურთალებმა და ექვსი არაჯი- ეპარტობა მათ საბოლოო გამარ- ჩგებაში.

მეორე ტაიმის დასაწყისში ხუ- თი ზერსონალური შენიშვნის გა- მო მოედანს ტოვებს მ. ქორჭია, მკაცრად დინამოელთა კაპა- ტანს ტაიმით აცილებს.


თამაშის 37-ე წუთზე ხუთი ზერსონალური შენიშვნის გამო მკაცრად ტოვებს დერიუგინი. უკანასკნელ წუთზე მილოვიდოვი აწინაურებს თბილისელებს — 90:88. აქვე მელეჟინის ზუ- სტი ტუორცნა და ანგარიში თანა- ბრდება — 90:90. დამატებითი დროის მე-3 წუთზე 6 ქულით წინ არიან კიევიელები — 96:90, მაგრამ სწორედ აქ ამბობენ გა- დამწვევრ სიტყვას ჩხილაძე და პულავეცი, ხოლო უკანასკნელ წა- გებზე მილოვიდოვის ზუსტი ტყო- რცნა დინამოელთა საპატიო და ძნელ გამარჯვებას აღნიშნავს — 99:98.

წ. ჯანაშავსილი.

ამ დღის სხვა მატჩები ასე და- მთავრდა: ცსკა — „სტაბია“ (ვილნიუსი) 110:75 (60:39), „ლო- კომოტივი“ (ლოპსალინი) — რტი (მოსკოვი) 81:104 (50:47), ვეფი (რიგა) — „სპარტაკი“ (ლე- ნინგრადი) 69:87 (39:41), „ჟალგი- რისი“ (კუნსასი) — „ალევი“ (ტალინი) 82:87 (50:41), „სტრო- იტელი“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 96:104 (52:48).

გათამაშების ცხრილი

Table with columns for match number, date, and scores. Includes matches like 'ცსკა' vs 'სტაბია' and 'დინამო' vs 'სპარტაკი'.



ეს იყო ქვეშაბრტყელ საჭადრაკო ზეიმი. გუშინ თბილისის ჭადრაკის სახელმწიფო სტუმართმოყვარულად მიიღო ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო კონკურს- ვიქტორინაში გამარჯვებული გო- გონები და ყმაწვილები (კონკურსის შედეგები იხ. „ლელოს“ 1979 წ. 26 დეკემბრის ნომერში). ნორჩი მოჭადრაკეები შეიკრიბნენ შეჯი- ბრების პირობების შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონ, დიდოსტატ მათა ჩიბურდანიძესთან ერთდ- როული თამაშის სეანსში მონაწი- ლეობის მისაღებად. თბილისე- ლებთან ერთად ბრიტანიაში ჩაე- ბნენ მათი თანატოლები ქუთაისი- დან, ფოთიდან, თერჯოლიდან, წყალტუბოდან, ტყიბულიდან, ამ- ბროლაურიდან და ლავოდეხიდან. ჩემპიონს 22 მეტოქე ჰყავდა. სეანსმა თითქმის სამ საათს გას- ტანა. ნორჩმა მოჭადრაკეებმა, რომელთა შორის იყვნენ ოსტა- ტობის კანდიდატი, პირველი და მეორე თანრიგისები, მსოფლიოს ჩემპიონს უშუალოდ პაექრობა გაუმართეს, მაგრამ მათამ მი- ინიც მოიგო 21 პარტია და ყაიმზე მხოლოდ ერთს —



ბოლო  
აკორდი

გაგზავნის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი გა- ზეთ „ლელოს“ საპარტვი- ლო კონკურს- ვიქტორინის დასკვნითი შეხვედრა

თბილისის მე-8 საშუალო სკო- ლის VII კლასის მოსწავლეს, მე- სამეთანრიგისან ვასილ ვაშაქი- ძეს შეუთანხმდა. ნორჩი მოჭად- რაკე დაჯილდოვდა მსოფლიო ჩემპიონის ავტორგრაფიანი საჭად- რაკო წიგნით. შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა. პარტია და მათ მშობლებს, რომლებმაც არ დაიშურეს დრო და ბავშვები ჩამოიყვანეს თბილი- სში, ალბათ დიდხანს ემასხვრე- ბათ კონკურსში მონაწილეობა და მათა ჩიბურდანიძესთან ასპა- რეზობა. პარტია ჭადრაკის დე- დოვალს წითელი მიხაკების თა- იგული მართავს. „ლელოს“ რედაქცია მადლობას უძღვნის მათა ჩიბურდანიძეს და თბილისის ჭადრაკის სახელის დირექციას დანაშაულისთვის. ავ- რეთვე კონკურსში გამარჯვებულ ყველა ნორჩ მოჭადრაკეს. თ. გიორგაძე.



ჩვენი რესპუბლიკის დედაქა- ლაში გასული წლის დამლევს ისანავლო-სანვრონო შეკრებაზე იყოფებოდნენ საბჭოთა კავში- რის მძღველსანთა ოლიმპიური ნაკრების სპრინტერები, თარჯ- მორბენლები, საშუალო მანძი- ლებზე მოასპარეზენი. მასპინძ- ლებმა მათ წვრთნის, დასვენე- ბისა და გართობის ყველა პი- რობა შეუქმნეს. სპორტსმენთა განკარგულებაში იყო „განთი- დის“ მძღველსნური სახალე, „დი- რამოს“ სტადიონის მძღველსნური ბაზა, თბილისის ზღვისა და წყნეთის მიდამოების ბილიკები...

მ ა დ ლ ო ბ ა !

საქართველოს სპორტკომიტე- ტმა, რესპუბლიკის პროფსაბჭომ, „განთიადის“ ცენტრალურმა სა- ბჭომ, თბილისის ქალაქის საბ- ჭოს სასტუმროების მეურნეობი- სა და ვაჭრობის სამმართველო- ებმა, რესპუბლიკის მძღველსნო- ბის-ფედერაციამ ყველაფერი გა- აკეთეს იმისთვის, რომ მძღველს- ნებს, ნაყოფიერად გაეტარებინათ წვრთნისათვის განკუთვნილი

ოლიმპიელები შინ კმაყოფილ- ნი გაემგზავრნენ. ამას ადას- ტურებს საქართველოს სპორტ- კომიტეტის თავმჯდომარის დ. პერტუნავას სახელზე საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. კოლესოვის დეკლარაცია, რომელშიც საქართვე- ლის ფიზკულტურულ-სპორტუ- ლი და პროფკავშირული ორგა- განიზრახვისადმი გამოთქმუ- ლია უორმები მადლობა ოლიმ- პიელებისთვის წვრთნისა და დასვენების პირობების შესანიშ- ნავი ორგანიზაციისათვის.

მკანეპელთა და ჩემპიონთა შეხვედრა

ოლიმპიური სოფლის მშენე- ლებს ორი საინტერესო შეხვედ- რა ჰქონდათ სსრ კავშირის ფი- ლოსოფია, კლასიკური და თავი- სუფალი ჭიდაობის ოსტატთა ნა- კრები გუნდების წევრებთან. თავ- დაპირველად „სოფელში“ მოვიდ- ნენ სპორტსმენები, დაათვალი- ერეს ბიზნები, სადაც მათ ოლიმ- პიური თამაშების დღეებში მოუწ- ევთ ცხოვრება. მშენებელთა კომ- კავშირულ-ახალგაზრდული ბრი- გადები აქ კეთილსინდისიერად მუშაობენ. ცდილობენ სპორტსმე- ნებს შეუქმნან კომფორტი, რათა ოლიმპიური „სახლის“ კედლებმაც კი გაუწიონ მათ დახმარება მო- მავალ სტარტებში. ეს იყო კომკავშირული მშენე- ლებისა და სპორტსმენთა თავი- სუფალი ანგარიში, რამდენადაც თითოეული ემზადება ოლიმპიულა მს- ისთვის. როგორც გამოირკვა, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. უბირველესად, ყოველდღიური, დაუღალავი შრომა. მშენებელ ახ- ალგაზრდათა შორის ბევრია ვა- ტკეცხული სპორტის. მაგალითად, მებარკეტე ვ. მორთხოვი სპორ- ტის ოსტატია სამბოში. მისი კე- რბი, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ნე- ვროროვიც იყო სტუმართა შორის. წარმოიდგინეთ, როგორ საინტე- რესოდ და თბილად ჩაიარა მათმა შეხვედრამ. შედგა ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. გარბილიანას ახალი ოლიმპიური სიმღერის პრე- მერა, რომელიც მან მშენებლებ- სა და სპორტსმენებს უძღვნა. შემდეგ გაიმართა დღევ ერთი შეხვედრა. ამჯერად ოლიმპიური სოფლის 400 მშენებელი „კრი- ლია სოვეტოვის“ სპორტის სასა- ხლეს ესტუმრა, რათა მისალმებო- დნენ მოსკოვის ოლიმპიური თა- მამების მომავალ მონაწილეებს — ოლიმპიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ლ. თე- დიაშვილს, ვ. რეზანცევს, ვ. ნე- ვროვს, პ. პინიენს, ვ. იუმინს, ს. ანდრეევს, კ. კორბანს, ვ. ჩე- ბოკაროვს. მშენებელთა სახელით სპორტსმენებს მიესალმა მღებავი ნ. გარდნერი. საღამოზე სპორტსმენებმა მოა- წყვეს საჩვენებელი გამოსვლები ოლიმპიური სოფლის მშენებელთა პარტიკულარად. შეკრებილთა წინა- შუა სიტყვით გამოვიდა საბჭოთა სპორტის ვეტერანი, სსრ კავში- რის დამსახურებული მწვრთნელი ა. სენატოროვი. იგი თავის დრო- ზე ი. პოდლუნისთან ერთად მო- ნაწილეობდა შეჯიბრებებში. სე- ნატოროვმა 200-მილიმეტრისანი ლურსმენებისაგან შეკრა თავისებუ- ლი მეგობრობის კვანძი და გადას- ცა იგი კომპოზიცი. ბელოუსოვას. „კრილია სოვეტოვის“ სპორ- ტის სახალეში შეხვედრაზე მოვი- დნენ ბამის მშენებლებიც — ტყის მჭერელთა ბრიგადიის ა. რიაბკოვი და გზის მშენებელთა კომპოზიცი ა. კონდრატენკო. მკყუ- რებლებს უჩვენეს აგრეთვე საი- ნტერესო საკონცერტო პროგრამა.


3. შვტორინა, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“.



პარკობატიკა



„სრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბავშვო პირველი



პირველი გამოცდა ჩაბარა

კიდევ რამდენიმე დღე და თბილისში სახემოდ გაიხსნება „სრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსი...

აღსანიშნავია, რომ „სრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბავშვო პირველი საბავშვო სპორტული კომპლექსი...

მათ წარმატებაში უთუოდ დიდი წილი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. კელესსაშვილს...

ეს შეჯიბრების საზეიმო დახურვისას მოხდა მანამდე კი მასპინძლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ოსტატობა...

კომპლექტი მოიპოვეს. ოქროს მედლების ერთი კომპლექტი გავითარა წყვილებზე — დავით გაგაშვილზე და ზურაბ ნიკალაშვილზე...

ჩვენი ვაჟების წყვილი საბავშვო კავშირის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი არიან. — გვეუბნება შეჯიბრების უფროსი მსაჯი გ. მარაგვილი.

ა. რაპაპალიაშვილი. სურათზე: სარბიელზე არიან „სრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბავშვო პირველი...

ს ი ნ ა თ ლ სპორტული ღარბაზის უანგარეშე

დავით კვაჭაძის სახელი კრივის მოყვარულთათვის კარგად ცნობილია. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი...

1979 წლის იანვარში დავით კვაჭაძის ინიციატივით და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარის ნუგზარ ასათიანის დახმარებით ვახსნა ამ საზოგადოებასთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა კრივისში...

კრივის სექციის მორიგი ვარჯიში იწყება. ჯგუფში 10-13 წლის ბიჭუნები არიან.

ეს პატარები წლეულს სექტემბერში მივლით. — ამბობს დავითი, — მაგრამ ბევრმა უკვე გამოიჩინა თავი. ვარჯიში თუ ასეთივე მონღოებით განაგრძეს, ნაღვ ალბათ წარმატებებსაც მიაღწევს.

მეცადინეობა მოთელით იწყება. მწვრთნელის ნიშანზე ნორჩი მოკრებილები დარბაზში სირბილს იწყებენ. მერე ნახტომებით სირბილზე გადადიან, ახტომებსა პარკში „ლანდს“ ებრძვიან.

დავითს მწვრთნელის მოვალეობის გარდა საზრუნავი სხვადასხვა ბიჭებზეც აქვს. იგი ხშირად სპორტსკოლის დირექტორია.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტსკოლა წელიწადია რაც არსებობს, სავარჯიშო დარბაზი საექსპლუატაციოდ სპორტსმენებს მხოლოდ ახლახან გადაეცა. დარბაზში კრივისათვის აუცილებელი არსებითი იარაღი არ დაუმონტაჟებიათ და თუ ვარჯიშს არ დაესწარიან, ვერაფრით ვერ წარმოადგენენ, რომ კრივის დარბაზში იმყოფებიან.

კვაჭაძის ჯგუფმა ვარჯიში დაამთავრა და გათვლილი ბიჭები ხმაურით შევიდნენ საშხაპეში. გასაღებში კი სპორტის ოსტატ ირაკლი არაბულის ხელმძღვანელობით უკვე იცდის 13 ბავშვი.

არაბული ახლო წარსულში თავად იყო მოკრივე, წარმატებებიც ჰქონდა, კრივის სექციაში ახლახან მოვიდა მწვრთნელად და ამის სახით სპორტსკოლის კოლექტივს კიდევ ერთი ენთუზიატი შეემატა.

სპორტსკოლა მთლიანად ახლავარდა მწვრთნელებითა და კომპლექტებით. ახლავარდაც გამოცდილებაც ნაკლები აქვთ, მაგრამ ამის სპორტის ამ სახეობის დიდი სიყვარული და ბავშვების მომზადებისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება ანაზღაურებს.

ახლახან ქუთაისშიც ჩამოყალიბდა კრივის სპორტსკოლა. — ამბობს დავითი. — ქალაქ კრივის კარგი ტრადიციები აქვს, ამიტომ ქვეყნის სპორტსმენებიდან მომავალში კარგ შედეგებს მოველოთ. საბურთალოზე „ბურევესტნიკი“ ახალ კომპლექსურ ნაგებობას აშენებს, რომელიც უახლოეს ხანში ჩაიდგება მწყობრში. ამაღსთან ლაკაშვილებით შეგებდნენ, რომ აქაურ კომპლექსურ სექციებს იქ გადაიყვანენ (კრივის სპორტსკოლა და კომპლექსური სექციები ერთად მუშაობს), ხოლო ამ შენობას მთლიანად ჩვენ დავეთმობენ. ეს დიდი საჩუქარი იქნებოდა კრივის მოყვარულთათვის. ვნახთ, როგორ შეასრულებს პირობას „ბურევესტნიკის“ ხელმძღვანელობა.

კვაჭაძემ გულისტყვილით აღნიშნა, რომ ადრე ჩვენში რესტორნების მშენებლობას მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე სპორტული ბავშვების, რომელთა ნაკლებობაც ქართული კრივის ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზთაგანია. საქართველოში თითქმის მოსათვლელია ქალაქები (თბილისის გარდა), სადაც კრივის სექციები ნორმალურად მუშაობს. უმეტესობას ბაზის და ინვენტარის უქონლობის გამო წვრთნის წესიერი პირობები არა აქვს.

რა თქმა უნდა, არა მარტო ბავშვების ნაკლებობაა ქართული კრივის ჩამორჩენის მიზეზი. დღემდე მეტად მწვრთნელ დღაც კვალი-ფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობის საკითხი. თითქმის არაფერი კეთდება ამ საქმის გამოსასწორებლად.

ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა მწვრთნელთა გადასამზადებელი კურსები შეეგეგმნა. საყურადღებოა, რომ „ბურევესტნიკთან“ არსებულ სპორტსკოლაში დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მწვრთნელთა შორის მეთოდურ მუშაობას. მეთოდურ კავშირებს სპორტსმენებსაც უტარებენ.

ეს საქმე ინსტრუქტორ ოთარ რაგვიმაც აქვს დავალებული, იგი ამასთან ერთად მოზარდთა ჯგუფსაც ავარჯიშებს.

მწვრთნელთა გვერდით სპორტის ამ სახეობას უანგაროდ ესმარება მრავალი მოყვარული. სპორტის ოსტატი ზურაბ გუნია პიროვნებით იწინიერია, მთელ თავისუფალ დროს იგი კრივის პოპულარიზაციას ახმარდა, ამჟამად კი სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა. დავით კვაჭაძის უფროსი ძმა, რომელმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშა

მის სპორტულ ბიოგრაფიაში, ამჟამად ნორჩ თაობას უზიარებს თავის გამოცდილებას.

კრივი. პოპულარიზაციისათვის, აგრეთვე, კარგი იქნებოდა, რაც შეიძლება მეტი შეჯიბრება ჩაეგეგმრებინა, თუნდაც არაოფიციალური, სადაც ახალბედა მოკრივეები გამოცდილებასც შეიძენდნენ.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა გადასაწყვეტი — მოზარდთა მოზიდვა, შემდეგ კი სპორტის ამ სახეობაში მათი შენარჩუნება. რატომღაც ზოგიერთ მშობელს კრივი ცემა-ტყემა ჰგონია, სადაც მათი შვილი ვერაფერსასარგებლოს ვერ აითვისებს. სპორტის ამ სახეობის სასარგებლოდ მარტო ის მეტყველებს, რომ სიმტკიცეს, ნებისყოფას, სწრაფი აზროვნების უნარს, ყველა ამ შესანიშნავ თვისებას, რასაც კრივი იძლევა, ბავშვი თავისუფალ დროს სასარგებლო საქმიანობის გამოიყენებს. — ჩემპიონთა ხომ თვითმიზანი არ გახლავთ.

დავით, თქვენი მომავალი გეგმები?


უახლოეს ხანში ვაპირებ აქტიურ სპორტს თავი დავეწებო და მთელი ყურადღება მწვრთნელის პროფესიაზე გადავიტანო. სპორტსკოლის სამმა მოკრივემ დეკემბერში კრასნოდარში გამართულ ოფიციალურ საკავშირო ტურნირში (მფრინავ-კოსმონავტ გობატიკოს პრიზზე) მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროა, რომ პერსპექტიული მკრივე ზაზა ხუნწარია ავად გახდა და ვერ იასპარეზა. ნიკოლოზ ქოსტიაშვილი (50 კგ კარგად გამოვიდა და მასამე ადვილი დაიკავა. თამაშ პატარიძეს ბედმა არ გაუღიმა — მეორე შეხვედრაში დამარცხდა, მაგრამ მწვრთნელები ამ ახალგაზრდაზე დიდ იმედებს ამყარებენ. ვფიქრობ, დაუღალავი შრომა მომავალში კარგ ნაყოფს გამოიღებს.

...კიროვის პარკში ბინდი ჩამოწვა. კანტიკუნტად თუ გაივლის ვინმე. კრივის სპორტსკოლის შენობაში კი კვლავ ანთია შუქი. ვარჯიშები დამთავრებულია, მაგრამ მწვრთნელები ჯერ არ ჩაბრუნდნენ — საფიქრალი და გასაკეთებელი მართლაც რომ ბევრია.

ბი ა ზ უ ბ ა ვ შ ი ლ ი.

ს უ რ ა თ ე ვ ე: ვარჯიშის მომენტი. მწვრთნელი ი. არაბული თავის აღსაზრდელბთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.





ვაღრაპი სტარტი აიღეს

დუშანაბე, 7 იანვარი (დებე-შით). აქ სტარტი აიღო გოგონათა და ჯაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონატებმა. ორივე ტურნირში საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.

გოგონათა შეჯიბრების I ტურში ი. აბზიანიძემ (ქუთაისი) მოკრივე

ჯაბუკთა ტურნირის I ტურში დ. ჩაჩიბაია (თბილისი) დაუზავდა სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს ი. ელვესტს (ესტონეთი), ხოლო ზ. თორია (ზუგდიდი) და ი. კუზმინი (თბილისი) დამარცხდნენ.

ბ. მახაზარიანი. (ჩვენი პაეც. კორ.)



### წყალქვეშელთა სკოლა

საპარტევლოს დოსაფის სექციები, სპორტული კლუბები და სკოლები რესპუბლიკის ახალგაზრდებს შორის დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს. თბილისის საზღვაოსნო სკოლაში წყალქვეშ სწრაფ ცურვას ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი მისდევს. ბოლო წლებში ბევრი მათგანი ცნობილი სპორტსმენი გახდა. მათ შორის 14 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, 35 — ოსტატობის კანდიდატი, ასზე მეტი პირველი თანრიგი აქვს.

წყალქვეშა ორიენტირებაში საქართველოს დოსაფის თბილისის საზღვაოსნო სკოლის ზამთრის ბაზაზე; სპორტის ოსტატი წყალქვეშა ორიენტირებაში, რესპუბლიკის ჩემპიონი ა. ონუფრენკო, მწვრთნელი ვ. პარაფილოვი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის წყალქვეშა ორიენტირების მრავალქიმი ა. რეშეტოვი (მარცხნიდან მარჯვნივ) მორთვი ვარჯიშისთვის ემზადებიან.

ს უ რ ა თ ე მ ე: მეცადინეობა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ვიკტორია გ. დავლიანი აღვიწიდა

ვიკტორია დავლიანი, რომელიც მოსკოვში, კრილსკოეს მიდამოებში აგებული დახურული ოლიმპიური ველოტრეკზე სტარტი აიღო პირველმა საქართველოში შეჯიბრებამ, რომლის მიზანია არა მარტო ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა ძალეობის, არამედ მომსახურებისა და მსაჯთა საქმიანობის დონის შეამოწმება. ამ ბაზაში XXII ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ სტარტებს უნდა უმასპინძლოს.

შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ. თბილისელმა სპორტსმენმა სოკლასის სპორტის ოსტატმა გ. დავლიანმა სპარინტში II ადგილისთვის უშუალოდ ბრძოლა მოუწია ქვეყნის ჩემპიონს ს. ჟურავლიძეს. პირველობა წილად ხვდა ომპის ფიზულტურის ინსტიტუტის პირველკურსელს დ. დავლიანს.

შემდეგ დავლიანმა იუნიათა შორის მსოფლიოს ჩემპიონთან გ. ლაინსთან ერთად სცადა ძალა წყვილთა გიტში. ისინი შეჯიბრებას დიდხანს ლიდერობდნენ — 1.02,451. მერე ამ შედეგის გაუმჯობესება შეძლო 22 წლის ლენინგრადელი ვ. კუშინისა და 23 წლის მინსკელი ს. სილორთის დუეტმა — 1.01,081. როცა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდებოდა, დავლიანმა და ლაინსმა აჯობა, აგრეთვე, გამოცდილი ოსტატების კ. ხრახტივისა და ს. ჟურავლიძის წყვილმა — 1.01,094. ამრავად, თბილისელმა ოსტატმა თავის პარტნიორთან ერთად III ადგილი დაისაკუთრა.

ტურნირში ძალას ცდიდა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, თბილისელი ოსტატი ვ. გელაშვილი. იგი როგორც სპარინტში, ისე ერთ კილომეტრზე რბოლაში ბევრ გამოცდილ ოსტატს სჯობდა და ორივეჯერ VII ადგილი მოიპოვა.

კვლავ ისახელა თავი გასული წლის 5 ოქტრის მედლის კავალერმა, თბილისელმა ოსტატმა პ. ჩევიროვმა. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მან ფინალურ ასპარეზობაში მოწოდების უფლება მოიპოვა.

100 წრეზე (20 სამუდამო ფინშით) რბოლა ლენინგრადელების უპირატესობით ჩატარდა — სამივე საპროფ ადგილი ამ ქალაქის სპორტსმენებს — ვ. კობილოვს, ი. გერასიმოვსა და ა. კრასნოვს დარჩა. 20 წრეზე ჯგუფური რბოლა კი ა. კარპოვის (შეიარაღებული ძალები) გამარჯვებით დამთავრდა.

### რედაქციის მოადგილე გ. ჯაფარიძე.

საპარტევლოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სპორტთამაშობაში კათედრის მასწავლებლის (ფიზკულტურის) სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე) ერთეულზე ფრენბურთის სპეციალობით. კონკურსის ვადა ერთ თვე დღიდან გამოცხადებისა.  
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღი 9-დან 16-საათამდე.  
ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 49.  
ტელეფონები: 22-31-60, 23-29-02.

# ქართული

და 3. გლასი — 227,2 (100,5 და 98 მ) სკვათ წილად. ყვარლისთვის მიუღიანებლად III ადგილზე გავდა პოლონელი პ. ფიასი — 226,8 (98,5 და 101,5). ტურნირის ლიდერი პ. ნოიბერი (ბესტრაი) აგრეთვე X ადგილს დასჯერდა. მას ოდნავ ჩამორჩა საბჭოთა სპორტსმენი ვ. ვლასოვი, რომელმაც 212,6 ქულა მოაგროვა და XI ადგილი დაიკავა. 4 ტრამპლინის ჯამში ნოიბერს ბადალი არ ჰყავდა — 940,1 ქულა. მომდევნო ადგილებზე ერგოთ გოლანდი (912,9) და ვებერს (912,7). საბჭოთა სპორტსმენებიდან სოკოლოვის გახლდათ ვლასოვი — 880,9 ქულა, X ადგილი.

### სროლა სმოლოდ გაიგორა

გულბარაღმა სპორტსმენმა ქალბა ა. პელოვამ თავისი ქვეყნის პირველობაში პრემიატური შაშხანით 10 მეტრიდან 40 გასროლაში 391 ქულა მოაგროვა და გაი-

### მხატვრული ტანვარჯიში

კუჭაია — 37,5; სახტუნელათი. შემჩუქინა — 9,7, ნადიბაიძე და კუჭაია — 9,4-9,4; ბაფთით. შემჩუქინა — 9,75, ნადიბაიძე — 9,5, კუჭაია — 9,45, რგოლით. ნადიბაიძე — 9,55, შემჩუქინა — 9,4, მორბედაძე — 9,35; გურჯები. შემჩუქინა — 9,8, ნადიბაიძე — 9,6, სააკაშვილი — 9,5; გუნდური. თბილისი-I — 233,973, თბილისი-II — 223,523, აჭარა — 208,59.
წყვილთა პირველობა. სისაური — დოლოვა — 36,05, შემჩუქინა — ნადიბაიძე — 35,7, სააკაშვილი — მორბედაძე — 35,65. (ყველა პრიზიორი თბილისიდანა).

ს უ რ ა თ ე: ი. შემჩუქინა ასპარეზობისას, ა. კოტორაშვილის ფოტო.

### პორიონტაპ ლენიკ-პლენიდი „მოწოდების“ პრიზი

რაც უფრო ახლოვდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები, მით უფრო ხშირად ეწყობა სპორტთა შორის ტურნირები, რომლებშიც ოლიმპიური თამაშებში მებრძოლების მაძიებლები ამოწმებენ ძალებს.

ოსლოს მიდამოებში გაიმართა სპორტსმენთა ასპარეზობა „მოწოდების“ პრიზზე. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა ქვეყნიდან ოლიმპიელები არ გამოდიოდნენ. მათი ადგილი ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა დაიკავეს. ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბოლა ნორვეგიელთა უპირატესობით ჩატარდა. პირველი ადგილი დაიკავა ო. ბრომ — 48,28. მან ფინელი ი. შიეტოსა (48,31) და თანაგუნდელ უ. აუნლოს (ნორვეგია, 48,32) ფინიშთან ოდნავ მიაღწრო. ლ. ოლიუშინმა (სსრ კავშირი) VII ადგილი დაიკავა — 48,02.

ქალთა 5-კილომეტრის დისტანციაზე იმარჯვა პ. რიპიურთრმა (ფინეთი) — 21,06. 22 წამის ზღვარიდან გამოვიდნენ, აგრეთვე, ნორვეგიელი ბ. აუნლი — 21,28 და ამერიკელი ა. თუნენ-საენსერი — 21,31.

### ორჭიდი

შონანის (გერ) მიდამოებში ჩატარდა ორჭიდი დიდი სპორტსმენთა ტურნირი, რომელშიც მონაწილე ოლიმპიადის ფავორიტებიც მონაწილეობდნენ. მასპინძლებს საკუთარი კედლებიც დაეხმარა და ვაჟთა შორის I-III ადგილები დასაკუთრეს. ყველას აჯობა ერგობის იუნიათა შარშანწინდელმა ჩემპიონმა 20 წლის უ. დოტსაუერმა. მან 421,392 ქულა მოაგროვა. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონის კ. ვინკლერის შედეგია 401,620 ქულა. II ადგილი ერგო ფინელი ი. კარიალაინენს — 411,377.

იუნიათა შეჯიბრებაც მასპინძლების უპირატესობით ჩატარდა. იმარჯვა ლ. ჰობაჟმა. ს. ორლიანსკი (საბჭოთა კავშირი) III ადგილზე გაიდა.

### სამთ-სათხილაშ- რო სპორტი „დიდი სიურპრიზი“

ასე უწოდეს 26 წლის მონჩეგორსკელი სამთ-სათხილაშურის ვ. ცივანოვის გამოსვლას მსოფლიო თასის გათამაშების მორთვი ეტაპის შეჯიბრებაში, რომელიც პრა-ლუს (საფრანგეთის ალპები) მიდამოებში გაიმართა. 3178-მეტრიან სწრაფდაშვების ტრასაზე ცივანოვმა ბევრი ადვილობები ოსტატი ჩამოიტოვა და VIII ადგილი დაიკავა — 1.55,17. პირველობა წილად ხვდა პ. მიულერს (შვეიცარია) — 1.53,56. მეორე საბჭოთა სპორტსმენმა, კემეროვოელმა ვ. მაკეევმა XVII შედეგი აჩვენა.

### თხილაშურებით ნტომა ოთხი ეტაპის ჯაგვი

ვიტორია დავლიანი, რომ დასრულდა სახალწლო 4 ტრამპლინის ტრადიციული ტურნირი. ამ ასპარეზობის ბოლო ეტაპი აესტრიაში, ბიშოფსთაინის მიდამოებში მოეწყო. პირველი და მეორე ადგილები გდრის წარმომადგენლებს მ. ვებერსა — 230,4 ქულა (ნახტომები 102 და 97 მ)

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დებუებისთვის — თბილისი, „ლილო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 98-97-50; რედაქციის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-52; განყოფილებები: ფენხურთის — 99-81-71, 98-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-58; ჭადრაკის — 98-97-26; სამხატვრო — 98-97-52; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამოშვები — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მემანქანები — 98-97-57.